ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N58

ქ.თბილისი 9 ივნისი, 2020 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გიორგი ბირბიჩაძე
ოთარ გრიგოლია	გულია გოცირიძე
ბექა დავითულიანი	გოჩა თევდორაძე
ლევან დარახველიძე	თევდორე ისაკაძე
ფრიდონ ინჯია	გიორგი მუსხელიშვილი
ერეკლე კუხიანიძე	თინათინ ნიბლოშვილი
ნინო ლაცაბიძე	ნინო რუხაძე
ქეთევან მამულაშვილი	თამარ ტალიაშვილი
შალვა ოგბაიძე	ვახტანგ შაქარიშვილი
ლევან ჟორჟოლიანი	გიორგი ჩაკვეტაძე
დათო რურუა	ვლადიმერ ძნელაძე
რევაზ სოხაძე	ლევან ჯაფარიძე
დავით უთმელიძე	ჯაბა ჯიშკარიანი
ავთანდილ ცინცაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
დავით ჭელიძე	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსი ვიქტორ წილოსანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ანდრია ბასილაია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი

3. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

7. „ქ.თბილისში, დიდი დიღომი, IV მ/რ, კორპუსი N29–ის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8613 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და შპს „პერსპექტივა“-სთვის (ს/კ.: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

8. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/020-ში, საკადასტრო კოდი: N01.17.10.006.020.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

9. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

10. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბანი მიკრო/რაიონი 2ᵃ, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.001.001.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

11. „ქალაქ თბილისში, თეწგიზ სტურუას ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.002.030.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

12. „ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.003.04.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

13. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N55-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.027.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34 (ს/კ.: N01.14.03.040.220) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორი ქავთარაძეზე“ -სთვის (ს/კ.: 405341447) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

15. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

17. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.080) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

18. „ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის სავაჭრო კომპლექსის დასაპროექტებლად“ ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული 2007 წლის 25 ოქტომბრის N12303 ქალაქთმშენებლობითი პირობების ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

19. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის ქ.N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N443 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

20. „ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი N1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ისაუბრა მის პროფესიონალიზმზე, საქმისადმი დამოკიდებულებაზე და აღნიშნა, რომ ანდრია ბასილაიას დანიშვნა თბილისის მერის მოადგილის თანამდებობაზე მისასალმებელია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული რეორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქალაქგეგმარებითი პოლიტიკის სინქრონიზაცია და ჰარმონიზაცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ეხება დედაქალაქში პარკირების წესებთან დაკავშირებით საგზაო ნიშნების დამატებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სხვადასხვა საჭიროებების დაფინანსებას და ასევე, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას, რომლებიც იცავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტერესებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია სახელოვნებო სკოლებისა და მუნიციპალური აუზების თანამშრომლების მაისის თვის ხელფასების სუბსიდიებით დაფინანსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ დაავადებათა კონტროლის ცენტრმა გამოაცხადა ტენდერი ლაბორატორიულ მომსახურებაზე და განახორციელა შესაბამისი ხარისხობრივი კრიტერიუმების დადგენა, რამაც გამოიწვია ცვლილებების საჭიროება სკრინინგის პროგრამაში, კერძოდ, წესთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქმიანობა, რომლითაც მოხდება სკრინინგ ცენტრის დაფინანსების გაზრდა. ასევე, წარმოდგენილია ფასების კორექტირება სხვადასხვა მომსახურებაზე, დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეგიონალურ ფასებთან გათანაბრების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისში, დიდი დიღომი, IV მ/რ, კორპუსი N29–ის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8613 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და შპს „პერსპექტივა“-სთვის (ს/კ.: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ერთი მოქალაქის ჩანაცვლება სხვა პიროვნებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ პირი, რომელსაც ზემოთ ხსენებული მიწის ნაკვეთიდან უნდა გადასცემოდა უძრავი ქონება, გარდაიცვალა განკარგულების გამოცემამდე. იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლობით, სამკვიდრო მოწმობის გაცემას ესაჭიროება ექვსი თვე და ეს დრო შეაფერხებს პროექტის განხორციელებას, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მოხდეს გარდაცვლილი პირის ჩანაცვლება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული სხვა პირით, რომელიც შეირჩა დაბალი სოციალური ქულის გათვალისწინებით, რაზეც გარდაცვლილის სავარაუდო მემკვიდრეებმა განაცხადეს თანხმობა. რაც შეეხება გარდაცვლილი პირის სავარაუდო მემკვიდრეებს, უძრავი ქონებით დაკმაყოფილდებიან სხვა მიმდინარე პროექტიდან, მათზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის შემდეგ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/020-ში, საკადასტრო კოდი: N01.17.10.006.020.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 50.26 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1999 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 96 კვ.მ.-მდე ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც დაახლოებით 21 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბანი მიკრო/რაიონი 2ª, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.001.001.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 20 კვ.მ. ფართის გადაცემა 2002 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ერთი ოჯახისთვის, რომელიც 17 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.002.030.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 143 კვ.მ.-მდე ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 15 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.003.04.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 110 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 10 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N55-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.027.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 74 კვ.მ.-მდე ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2019 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეს უდასტურდება ქონების ფლობა დმანისში, რაც არ იქნა მიჩნეული დამაბრკოლებელ გარემოებად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34 (ს/კ.: N01.14.03.040.220) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორი ქავთარაძეზე“ -სთვის (ს/კ.: 405341447) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდება 131 ფიზიკური და ერთი იურიდიული პირი. ხელშემწყობი ღონისძიებები ეხება კ2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებას და ასევე, სამშენებლო კანონმდებლობიდან გამომდინარე, მთელ რიგ შეღავათებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია დადგენილებისთვის ახალი თავის დამატება, რომლის მიხედვითაც, მე-5 კატეგორიის ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების მიზნით, შესაძლებელი იქნება კონკრეტულ ობოექტებზე და ინვესტორებზე ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, რაც ასევე, გულისხმობს კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებას და გარკვეულ პრეფერენციებს, რასთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მთავრობა, საკრებულოსთან შეთანხმებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ პროექტით, ზონის სტატუსის ცვლილებებთან ერთად, წარმოდგენილია ცვლილება გენ.გეგმით დამტკიცებულ ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკაში, რომლის მიხედვითაც ხდება ორი პერსპექტიული ხიდის ამოღება.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წინადადებები წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-032009013-03 თარიღი: 30.03.2020; N12-032014324-03 თარიღი: 22.05.2020; N12-032014860-03 თარიღი: 27.05.2020; N12-032014984-03 თარიღი: 28.05.2020; N12-03201501-03 თარიღი: 29.05.2020; N12-032015641-03 თარიღი: 04.06.2020; N12-032015642-03 თარიღი: 04.06.2020, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაიდოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის და N12-032015641-03 წერილით წარმოდგენილი მე-5 და N12-032014984-03 წერილით წარმოდგენილი მე-4 პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.080) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ გათვალისწინებულია ორი ბლოკისგან შემდგარი, ოთხ და ხუთ სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის სავაჭრო კომპლექსის დასაპროექტებლად“ ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული 2007 წლის 25 ოქტომბრის N12303 ქალაქთმშენებლობითი პირობების ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია, ერთ კონკრეტულ სექტორში არსებული მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის გადაკეთება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებად, რაც მიზანშეწონილია ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის ქ.N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N443 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ტერიტორიის იერსახის მოწესრიგება, კერძოდ, გამოუსადეგარი ავტოსადგომის ადგილას მოეწყობა გამწვანებული ტერიტორია და განთავსდება ერთსართულიანი კაფე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი N1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდება კოოპერატიული ბინათმშენებლობის 93 წევრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 6 დადგენილება და 14 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი